13 აპრილს. № 10. 1887 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი

## სასულიერო მთავრობის განკარგულებანი.

### განჩინება უწმიდესი სინოდისა.

**10-17 მარტიდამ 1887 წლისა, № 431, სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებისამებრ დამსახურებისათვის.**

უკაზისამებრ მისი იმპერატორებითი დიდებულებისა, უწმიდესმა სინოდმა მოისმინეს წარდგინებანი ეპარქიის მღვდელთ-მთავართა ყოვლად სამღვდელო საქართველოს ექსარხოსისა და მოსკოვის სინოდალნი კანტორისა მათი უწყების სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე დამსახურებისათვის სასულიერო უწყებისამებრ. ბრძანეს: საფუძველსა ზედა მოხდენილის მსჯელობისა, უწმიდესმა სინოდმა განაწესა, მოხსენებულნი ამასთანავე ქონებულ სიასა შინა სასულიერო პირნი ღირსნი გახდნენ სიისამებრ აღნიშნულ ჯილდოთა, რაისათვისაც ეპარქიის მღვდელთ-მთავართა გამოსაცხადებლად, დაბეჭდილ იქმნეს ამასთანავე ქონებული სია ჟურნალს «საეკლესიო უწყებაში».

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც სამსახურისათვის სასულიერო უწყებისამებრ დაჯილდოებულ არიან უწმიდესი სინოდისაგან აღდგომის დღესა, 1887 წელსა.

### საქართველოს საექსარხოსოისამებრ:

ა) არქიმანდრიტობის ხარისხით: წინამძღვარი მეორე კლასის იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრისა, იგუმენი გერასიმე და საირმის მეორე კლასის მიძინების მონასტრის წინამძღვარი, იგუმენი იონა;

ბ) დეკანოზობის ხარისხით—ფოთის ქალაქის ალექსანდრე ნევის ეკლესიის მღვდელი გრიგორი მაჭაროვი; ვლადიკავკაზის რეალური სასწავლებლის ეკლესიის მღვდელი იასონ მამაცევი; დუშეთის მაზრის, ქაშანოვის მთავარ-ანგელოსთ ეკლესიის მღვდელი გიორგი იტონიევი; შორაპნის მაზრის, დაბა ყვირილის იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიის მღვდელი დავით ღამბაშიძე, და მყოფი ელისავეტოგრადის სამხედრო პროგიმნაზიისა, აწ სამსახურში მყოფი საქართველოს საექსარხოსოსა შინა, მღვდელი თეოდოსი კარტმინსკი;

გ) მკერდის-ჯვრითა უწმიდესის სინოდისაგან ბოძებულით: გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, დოლევის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ ყურუა; ეკონომი ნამარნევის იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრისა, მღვდელ მონაზონი ავქსენტი; გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, მარტვილის წმიდა მოციქულთა პეტრე და პავლეს საკრებულო ეკლესიისა ზოსიმე ყორდანია; დეკანოზი ქიზლიარის ყაზანის საკრებულო სობოროისა, ალექსანდრე კობილიტეტოვი; თბილისის მაზრის დილომის ტარინინის ეკლესიის მღვდელი გიორგი გიორგიევი, და ხაზინადარი ხირსის სტეფანეს მონასტრისა, სიღნაღის მაზრისა, მღვდელ მონაზონი ალექსანდრე;

დ) კამილავკითა: გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, ნაგვაზევის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი ანდრია ჭალაგანიძე; ამავე ეპარქიის, ნაჯიხევის მთავარ-ანგელოსთ ეკლესიის მღვდელი თადეოზ სოსანია; ამავე ეპარქიის პირველი ფოცხოვის მთავარ-ანგელოსთ ეკლესიის მღვდელი იესე საჯაია; ამავე ეპარქიის, ჯგალის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი სვიმეონ კვარაცხავა; ამავე ეპარქიის, ლანჩხუთის იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიის მღვდელი ლავრენტი კვირკველია; ამავე ეპარქიის, აბუჯხვის მთავარ-ანგელოსთ ეკლესიის მღვდელი გიორგი შენგელია; ამავე ეპარქიის, სენაკის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი, სიმეონ ქავთარაძე; მღვდელი ცხელი წყლის სტანციისა, თერგის სამფლობელოისა, პეტრე ხრისტოროჟდესტვენსკი; გორის მაზრის სულის წმიდა ნიკოლოზის ეკლეს. მღვდელი იოსებ ხუციევი; თბილისის მაზრის, ნორიის იოანნე ნათლის მცემლის ეკლესიის მღვდელი სამსონ ჩილაევი; გორის მაზრის, სურამის ქრისტეს ფერისცვალების ეკლესიის მღვდელი იოანნე ბებიევი; გორის მაზრის, პატარა-მეჯვრისხევის ღვთის მშობლის ეკლესიის მღვდელი გიორგი ხახუტოვი; სიღნაღის მაზრის, მაღაროს ფერისცვალების ეკლესიის მღვდელი იერემია ჭრელაევი; ნოვოროსიისკის ქალაქის, წმიდა ნიკოლოზის საკრებულო ეკლესიისა დეკანოზი მიხაილ პავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვი; ქუთაისის მაზრის, ჩხენიშის სოფლის ეკკლესიის მღვდელი დიონისე ჯიბლაძე; კუდაროს სოფლის (სვანეთშია) ეკკლესიის მღვდელი ლუკა ძაგნიძე, და ქუთაისის მაზრის, სოფლის დიდი-ჯიხაიშის ეზოს ხატის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბასილ კაჭახიძე;

ე) სკუფიით: გურია-სამეგრელოის ეპარქიის, ლევერსამის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი კონსტანტინე ბერიძე; ამავე ეპარქიის, დერჩის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი თეოფანე ასათიანი; ამავე ეპარქიის, ბურზემის მთავარ-ანგელოსთ ეკკლესიის მღვდელი ისაკ ჯავახია; კასის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ელიავა; ამავე ეპარქიის, ონოგიის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელი სტეფანე გაბუნია; ამავე ეპარქიის, ფაქიკის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელი დავით ჩანქსელიანი; ამავე ეპარქიის, ჭაბუკთ-ჯვარის წმიდის გ-ის ეკკლესიის მღვდელი ნიკიფორე მუდჯირი; ამავე ეპარქიის, ბანძაეის დიდ-კარის მთავარ-ანგელოსთ ეკკლესიის მღვდელი იოანნე ფოხხუა; შორაპნის მაზრია, სოფლის ხევ ს ჯვრის ეკკლესიის მღვდელი რომანოზ ხაზიძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის მუხაყრუას ეკკლესიის მღვდელი ლუკა თებზაძე; რაჭის მაზრის, სოფლის ქედის უბნის ეკკლესიის მღვდელი ვასილ ბაკურაძე; ქ. ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ხუცეევი; ქუთაისის მაზრის, სოფლის სვირის ეკკლესიის მღვდელი სამონ ჯუღელი; რაჭის მაზრის, სოფლის ჩორჯოს მღვდელი თადეოზ გაბიჩვაძე; სოფლის შუაწყლის ეკკლესიის (სოხუმის ეპარქიისა) მღვდელი კონსტანტინე თოფურიძე; სოფლის ტაბლონის, სოხუმის ეპარქიისა, მღვდელი მაქსიმე ჯაფარიძე; ქალაქ-ს ანაპის წმიდის ონუფრის ეკკლესიის მღვდელი თეოდორე ფილიპოვი; სუხუმის ოლქის ველიამინოვის დაბის ეკკლესიის მღვდელი პავლე შიშკოვი; ქალაქის მოზდოკის, წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ბიბილუროვი; კისლოვოდსკის სლობოდის ეკკლესიის მღვდელი (თერგის მაზრისა) იოანნე პეროვოზოვსკი; თერგის მაზრის სოფლის საზღილის ეკკლესიის მღვდელი პავლე დავროვი; გორის მაზრის ხიდის-თავის წმიდის-გიორგის ეკკლესიის მღვდელი დიმიტრი ტატიევი; თფილისის ქალაქის კუკიის ალექსანდრე ნევის ეკკლესიის მღვდელი ევგენი ზვერევი; ბაქოს ქალაქის წმიდა ნიკოლოზის საკრებულო ეკკლესიის მღვდელი ალექსანდრე იუნიცკი; სიღნაღის მაზრის, ანაგის მიძინების ეკკლესიის მღვდელი გიორგი ახმეტელოვი; სიღნაღის მაზრის ბოდბის სამების ეკკლესიის მღვდელი აბრაამ ბადიევი; დუშეთის მაზრის შიოკოცინის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ასათიანი; გორის მაზრის, კასპის თეოდორე ტირონის მღვდელი დიმიტრი ხილოვი; გორის მაზრის სვენეთის მიძინების ეკკლესიის მღვდელი ბართლომე ბიბილური; გორის მაზრის, ბელოთის ამაღლების ეკკლესიის მღვდელი ილია ედილოვი; თელავის მაზრის, კონდოლის თომა მოციქულის ეკკლესიის მღვდელი გიორგი შელიძე; გორის მაზრის, დუმაცხოვლის კვირიკეს ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ მაჭაროვი; ზანგეზურის მაზრის, კავართის ხარლამპის ეკკლესიის მღვდელი ანანია ქარელოვი; ბორჩალინის მაზრის ალიანის წმიდის გიორგის ეკკლესის მღვდელი ისაკ იკონოშოვი; სიღნაღის მაზრის, ახაშენის ეკკლესიის მღვდელი იოანნე მრევლოვი; ახალ-ციხის ქალაქის, მარინეს ეკკლესიის მღვდელი მიხაილ ყამუტოვი; გორის მაზრის, დიდი მეჯვრის-ხევის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია გამრეკელოვი; თფილისის ქალაქის ივერის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელი მიხაილ მელიტაური, და გორის მაზრის ძეგვის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი ზურაბ ჯიოევი.

და ზ) უწმიდესი სინოდის კურთხევით უგრამოტოთ—გურია-მინგრელიის ეპარქიის, კეთილარის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ჩაგანავა; ფოთის ქალაქის, ალექსანდრო—ნევის ეკკლესიის მღვდელი გიორგი კვირკველია; ამავე ეპარქიის, სეპიტიევის მთავარ-ანგელოსთ ეკკლესიის მღვდელი ანტონ კეკელია; ორდუბადის ქალაქის, ალექსანდრო—ნევის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ხელაძე; თფილისის ქალაქის, საკრებულო ეკკლესიის მღვდელი გრიგოლ მღებრიევი; თიონეთის მაზრია, ახმეტის კვირიკე და ივლიტეს ეკკლესიის მღვდელი ბასილ როსტომოვი; თფილისის მაზრის, მარტყოფის ხელთ უქმნელის ხატის საკრებულო ეკკლესიის მღვდელი ქრისტესი ბეჟანოვი; კავთისხევის წმიდის გიორგის, გორის მაზრისა, ეკკლესიის მღვდელი დავით ბარნაბოვი; სიღნაღის მაზრის, კაკაბეთის მარინეს ეკკლესიის მღვდელი ზაქარია ქეფიმოვი; დუშეთის მაზრის, ამანოვსკის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია პეტრიაშვილი; გორის მაზრის, ახალ ციხის თომას ეკკლესიის მღვდელი ფილიპე ქლიისაბედაშვილი, და გორისავე მაზრის, სალოლაშენის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი თეოდორე ყიფშიძე.

13-ს აპრილს, № 10 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, უოველი თვის ათს, ოცს დ ოც-და-ათ რიცხვებში.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით დაგაუგზავნელად | 5 მან. |
| ნახევარი წლის — — — | 3 — |
| „მწყემსი“ რუსული დამატებით — | 6 — |
| ნახევარი წლით — — — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით — | 3 — |
| ნახევარი წლით — — — | 2 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

უველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## სიკვდილი და აღდგომა.

ჯვარზე გამსჭვალულმა ქრისტემ სულის განტევების წინად წარმოსთქვა სიტყვა: „აღსრულდა.“ ამ სიტყვით დასრულდა ძველი აღთქმის ისტორია კაცობრიობისა. მაცხოვრისაგან ამ სიტყვის წარმოთქმის დროს გადატყდა, ესრეთ ვსთქვათ, ღერძა კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების ბორბალისა. ამ გადატეხით შეინძრა ქვეყანა, და აჰა, მოგვითხრობს მახარებელი: კრეტსამბელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად ზევიდგანვიდრე ქვედმდე; და ქვეყანა შეიძრა; და კლდენი განსქდნენ და საფლავნი აღეხვნენ. შიში დაეცა ყველას, ყველანი მოელოდენ, რომ მიწა შთანთქავს მათ და შემუსრავდნენ. მაგრამ ცხოველ არს ღმერთი და ცხოველია სული კაცობრიობისა. ვერ მისწვდება კაცის გონება ღვთის განგებულების საქმეს. სადაც ჩვენ სიკვდილი გვეჩვენება გამარჯვებულად, იქ იგი დამარცხებულია. თესლი მცენარეთა, როდესაც იმარხება მიწაში და სრულებით იხრწნება, მაშინ იწყებს და იჩენს სიცოცხლეს. აგრეთვეა კაცობრიობის ცხოვრებაცა: განახლებული ცხოვრება მაშინ იწყება, როდესაც უკანასკნელად იმარჯვებს სიკვდილი ძველ ცხოვრებაზე. და აი საშიშარი დრო, წამი ქრისტეს, სოფლის მხსნელის, სიკვდილისა, რომლიდგანაც იწყება ახალი, გამოცვლილი და განახლებული ცხოვრება კაცობრიობისა. ქრისტე აღსდგა მკვდრეთით დიდებული სხეულით და მასთან აღადგინა მთელი კაცობრიობა ახალი დიდებული ცხოვრებისათვის. ისტორია ქრისტეს აღდგომისა საუკუნო წყაროდ დარჩება ახალი ზნეობრივი დაბადებისა როგორც კერძო პირთა, ისე მთელი ხალხისა და ქვეყნისათვის და წმიდა მოთხრობა აღდგომაზე არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას უკუნითი უკუნისამდე.

„ქრისტე აღსდგა!“—უთხრეს ანგელოზებმა მტირალ მენელსაცხებელ დედათა, რომელნიც მოვიდნენ ქრისტეს საფლავად, რომ მიეცათ თავის მოძღვრისათვის უკანასკნელი ვალი სიყვარულობისა და პატივის ცემისა, და ეს სასიხარულო ხმა იმ დროიდგან ვრცელდება თან-და-თან და გავრცელდება შემდეგშიაცა, ვიდრემდის მთელ ქვეყანაზედ არ მოისმება ეს სადღესასწაულო ღაღადების ხმა და ამ ანგელოზთა ხმაზე: „ქრისტე აღსდგა!“ ყველასაგან ერთითა პირითა და ერთითა გულითა არ მოისმება მიგება: „ჭეშმარიტად აღსდგა!“

მართლ მადიდებელი ეკკლესია თავის დადგენილობათა და მღვდელ-მოქმედებათა შინა მშვენიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხადათ წარმოგვიდგენს ჩვენ ამ ქვეყნიურ ცხოვრების ისტორიულ შეცვლას და ამით გვამცნებს, რომ ყველამ ჩვენ სულიერ ცხოვრებასა შინა ვიგრძნოთ ის გრძნობანი შიშისა და სასოებისა, მწუხარებისა და მხიარულებისა, სიკვდილისა და აღდგომისა, რომელიც იგრძნეს ნამდვილად იესო ქრისტეს სიკვდილის და აღდგომის დროს. ყოველივე ეს გრძნობანი ისე ნათლად და ცხადათ არსად არ სრულდება, როგორც დიდ მარხვაში და განსაკუთრებით ვნების კვირიაკეში. დიდი მარხვა მომასწავებელია ძველი აღთქმისა, როდესაც ხალხი მოელოდა მაცხოვარს, სოფლის მხსნელსა. დიდ-მარხვაში ჭეშმარიტი ქრისტიანე თან-და-თან გრძნობს დიდი მარხვის სიმძიმეს და თანაც მოელის ამ მძიმე მდგომარეობის მალე შეცვლას. ბუნებაც ამ დროს თითქმის ახლდება. ახლოვდება გაზაფხული. მცენარეები იმოსებიან. ზამთრის სუდარი ეხდება არე-მარეს და ყველა სულ-დგმული რაღაცა სიხარულსა ჰგრძნობს. ყველა ამაების მხილველი კაცის გულში თან-და-თან ღვივდება და ძლიერდება რაღაცა გამოუთქმელი სიხარული და სასოება ბრწყინვალე დღესასწაულის მოლოდინისა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ჩვენგანს არ შეუძლია იგრძნოს ეს სიხარული და ნეტარება. ვის შეუძლია დასტკბეს საჭმლის გემოთი? ვისაც უმარხულებია და შიმშილი უგრძვნია. ვის შეუძლია ბედნიერება იგრძნოს? ვისაც უბედურება გამოუცდია. ამისათვის წმიდა ეკკლესიამ დაადგინა ვნების კვირიაკეში დროის შესაფერი მღვდელ-მოქმედებანი, რომელთაც გრძნობაში მოჰყავთ ყველანი, აფიქრებს მათ თავის ცხოვრებაზე და, რაც უნდა გაფანტული იყოს კაცი, მაინც აფიქრებს მას ერთის მხრით თავის სინდისზე და ეს დაფიქრება ატყობიებს მას თავის ზნეობით დაცემას, ხოლო მეორეს მხრით ამცნებს კაცს მაცხოვრისაგან კაცობრიობისათვის შეწირული მსხვერპლის სიდიდეს. ნეტავი იმ კაცს, რომელსაც ყველა ესეები უგვრძნია და ეკკლესიის ყოველივე დადგენილობანი მტკიცედ აღუსრულებია!.. მხოლოდ ამ გვარ კაცს შეუძლია იგრძნოს ის ჭეშმარიტი გულის მხიარულება, რომელსაც გრძნობს კაცი აღდგომის დღეს. იმათ კი, რომელნიც თავის თავს და სვინიდისს არ გამოიცდიან, არ იციან, რა არის ზომიერი ჭამა და მარხულობა, არ დადიან ეკკლესიაში ვნების კვირიაკეში და არც შინ კითხულობენ სახარებას, არ შეუძლიანთ იგრძნონ ჭეშმარიტი სიხარული დღესასწაულისა.

ქრისტეს დროს თორმეტ მოციქულში მხოლოდ ერთი იუდა შეიქმნა ქრისტეს გამცემელი. დღეს ამდენ ქრისტიან ხალხში, რასაკვირველია, არა ერთნი მოინახებიან იუდას თანაზიარნი. ზოგიერთნი ჩვენგანი იწოდებიან ქრისტიანებად, მაგრამ საქმით სრულებით არ გვანან ქრისტიანეთა. მათი სარწმუნოება დამდაბლებულია და მოქმედება გაცუდებული და დაუვიწყებიათ მათ მაცხოვრის მცნება, რომელიც ბრძანებს: შეიყუარე უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა; შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

ქრისტე აღსდგა და ვისურვოთ, რომ აღსდგეს ჩვენში დაცემული სარწმუნოება და ზნეობა.

„ქრისტე აღსდგა!“

## სიტყვა სიმართლეზე. *)

„ბევრმა საუკუნოებმა გაიარა მას აქეთ, რაც ქრისტე შობის დღეს მოვიდა ქვეყნად სიმართლე. სიმართლე დასაბამიდგან არის. ის უწინარეს ყოვლისა მჯდომარე იყო ქრისტე კაცთმოყვარესთან ერთად მარჯვენით მამისა, მასთანვე განხორციელდა და აღანთო ქვეყანაზედ თვისი ნათელი. ის იდგა ჯვარის საფეხურთან და ჯვარს ეცვა ქრისტესთან; ის მჯდომარებდა ბრწყინვალე ანგელოზის სახით ქრისტეს საფლავთან და ხედვიდა მის აღდგომას. და როდესაც კაცთ-მოყვარე „ამაღლდა ზეცად,“ მან დასტოვა „ქვეყნად სიმართლე“, ვითარცა ცხოველი მოწამე თავისი უცვალებელი კეთილ-მოწყალებისა კაცობრიობისადმი.

მას აქეთ არ დარჩენილა მთელ ქვეყნიერებაზე ერთი პატარა კუთხეც, რომელშიაც არ მიეღწიოს ამ სიმართლეს და არ აღევსოს იგი. სიმართლე ზრდის ჩვენ სინიდისს, ათბობს ჩვენ გულს, აცხოველებს ჩვენ შრომას, გვიჩვენებს მიზანს, რომლისაკენაც მიმართული უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება. შეწუხებული გული ჰპოებს მასში ნამდვილს და ყოველთვის გამოჩენილ

*) მოსკოვის ერთ რუსულ გაზეთში შესანიშნავმა რუსის მწერალმა შჩედრინმა ქრისტეს შობის ერთს მოთხრობაში წარმოუდგინა მკითხველებს სოფლის მღვდელი, როგორც მქადაგებელი. ამ მღვდელს ათქმევინა მან ეს მშვენიერი სიტყვა სიმართლეზე, რომელსაც, როგორც შესანიშნავ სიტყვას, ჩვენ ვბეჭდავთ შეუცვლელად.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფარველს, რომლითაც კაცს შეუძლია დამშვიდდეს და ნუგეშობდეს უბედურების დროს.

შემცდარნი არიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სიმართლე ვითომ ხან-დის ხან იცვლება, ანუ როდისმე იჯაბნება უსამართლოებისაგან. არა, იმ სამწუხარო დროებშიაც კი, როდესაც არა შორს გამჰვრეტ კაცთ ეჩვენებოდათ, ვითომ დღესასწაულობდა სიცრუე და უსამართლობა, სიმართლე ნამდვილად დღესასწაულობდა; მას არა ჰქონდა დროებითი ხასიათი და ამიტომ იგი მუდამ შეუცვლელად მიდიოდა წინ, იფარავდა ქვეყნიერებას თავისი ფრთებით და ანათებდა ყველას თავისი სხივით. მოსაჩვენებელი გამარჯვება სიცრუისა ჰქარწყლდებოდა, როგორათაც სიზმარი, სიმართლე კი მიდიოდა წინ.

დევნულებთან და წამებულებთან ერთად სიმართლე ჩადიოდა ქვერსკნელში და მათთან ერთად ვიდოდა მთების ხეობებში. სიმართლე ადიოდა მართლკაცებთან ერთად ცეცხლზე და მათთან ერთად სდგებოდა მწვალებელთ პირის-პირ. ის ანთებდა წვალებულთა გულში საღმრთო ალს, ის იფარავდა მათ სულმოკლეობის და ღალატობისაგან; ის ასწავლიდა, რათა მათ მოთმინებით აეტანათ წამება. სიცრუის თაყვანის მცემელნი ტყვილად ნუგეშობდენ თავის გამარჯვებით, რომელსაც ხედავდენ ისინი დასჯაში და სიკვდილში. თვით საშინელს წამებასაც არ შეეძლო გაედრიკა სიმართლე, პირიქით დასჯა და სიკვდილი აძლევდა სიმართლეს მომეტებულ მიმზიდველ ძალას. უბრალო გული აენთებოდა ხოლმე, როდესაც ხედავდა ამ წამებას და ამ გულში სიმართლე პოულობდა ახალს, მადლით შემოსილს ნიადაგს თესლისათვის. ცეცხლი ინთებოდა და ნთქავდა მართალთა სხეულს, მაგრამ ამ ცეცხლის ალისაგან ინთებოდა ურიცხვი მნათობი, მსგავსად იმისა, როგორც მწუხრზედ ერთი ანთებული სანთლის ალით უცბად ნათლდება მთელი ტაძარი ურიცხვი სანთლებით.

რაში მდგომარეობს სიმართლე, რომელზედაც მე გებაასებით თქვენ?—ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ჩვენ სახარების მცნება. პირველად ყოვლისა გიყვარდეს ღმერთი, და შემდეგ გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი თვისი. ეს მცნება, თუმცა ორიოდე სიტყვით არის გამოხატული, მაგრამ იცავს თვისშორის მთელს სიბრძნეს, მთელი კაცობრიობის ცხოვრებას.

გიყვარდეს ღმერთი—ვინაიდგან იგი ცხოვრების მომნიჭებელია და კაცთ-მოყვარე, ვინაიდგან იგი არის წყარო კეთილისა, ზნეობითი მშვენიერებისა და ჭეშმარიტებისა. მასშია სიმართლე. თვით ამ საყდარში, რომელშიაც იწირება უსისხლო მსხვერპლი ღვთისადმი,—მასშივე სრულდება განუწყვეტელი მსახურება სიმართლისადმი. ამ ტაძრის ყველა კედლები გაჟღენთილი არის სიმართლითა, ასე რომ თქვენ და თქვენზე უგლახესი, შეხვალთ თუ არა ტაძარში, გრძნობთ თავის თავს დამშვიდებულად და გაბრწყინებულად. აქ, ჯვარცმულის სახის წინ, ივიწყებთ თქვენ მწუხარებას, აქ პოულობთ თქვენი აღელვებული სულის დამშვიდებას. ჯვარს ეცვა ქრისტე სიმართლისათვის, რომლის სხივები მოეფინა მთელ ქვეყანას—ნუ თუ უნდა დაუძლურდეთ თქვენ, როცა განსაცდელი მოგელით?

გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი თვისი—ესრეთია მეორე ნახევარი ქრისტეს მცნებისა. მე არ ვილაპარაკებ იმაზედ, რომ მოყვსის შეუყვარებლად შეუძლებელია საზოგადო ცხოვრება—ხოლო ვიტყვი პირ-და-პირ და დაუფარავად: ეს სიყვარული, თავის თავად გარეშე ყოველ გვარი მოსაზრებისა, არის მშვენება და მხიარულება ჩვენის ცხოვრებისა. ჩვენ უნდა გვიყვარდეს მოყვასი, არა იმიტომ, რომ მანაც შეგვიყვაროს, არამედ თვით ამ სიყვარულისათვის. უნდა გვიყვარდეს ნიადაგ, თავ-განწირულებით, რომ მზად ვიყოთ დავსდვათ მისთვის სული თვისი, მსგავსად იმისა, როგორც კეთილი მწყემსი სდებს სულსა თვისა თავის ცხოვართათვის.

ჩვენ უნდა ვმეცადინობდეთ, რომ შევეწიოთ მოყვასს და მასთან არ უნდა ვფიქრობდეთ მასზე, მოგვაგებს იგი ჩვენ სამაგიეროს, თუ არა; ჩვენ უნდა ვიფარავდეთ მას ამ წუთი-სოფლის უბედურებისა და უსიამოვნებისაგან, კიდეც რომ ეს უბედურება გვექადდეს ჩანთქმას, ჩვენ უნდა წარვსდგეთ მის მაგიერ პასუხის საგებლად მასზე მძლავრების წინ; უნდა წავიდეთ მის მაგიერ ჩხუბში. სიყვარულის გრძნობა მოყვსისადმი არის ის უმაღლესი საუნჯე, რომელსაც კაცი ფლობს მარტო და რომლითაც ის ირჩევა სხვა ცხოველთაგან. თვინიერ ამა გამაცხოველებელი სულისა კაცის ყოველი საქმე მკვდარია, უამისოდ ჰქრება და გაუგებარია თვით მიზანი კაცის არსებობისა. მარტო ის კაცები სტკბებიან ცხოვრების სრული სიტკბოებით, რომელნიც ანთებულნი არიან სიყვარულით და თავგანწირულებით; მხოლოდ მარტო ისინი გრძნობენ ცხოვრების ნამდვილ სიამოვნებას.

ამნაირად გვიყვარდეს ღმერთი და ერთმანერთი—ამ გვარი არის შინაარსი კაცობრიულის სიმართლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვეძიებდეთ მას და ვიაროთ მის კვალზედ. ნუ შეუშინდებით სიცრუვის დევნულებათ, არამედ ვზღვეთ კეთილად და წინ-დაუხვედროთ მათ ჩვენგან შექენილი სიმართლე. სიცრუე განჰქრება, ხოლო სიმართლე დარჩება და გაათბობს კაცთა გულსა.

ეხლა თქვენ დაბრუნდებით თქვენ სახლებშიდ და მიეცემით მხიარულებას დღესასწაულის გამო. მაგრამ მხიარულების დროს თქვენ ნუ დაივიწყებთ, რომ ამ მხიარულებასთან მოვიდა ქვეყნად სიმართლე, რომ ის ყოველს დღეს, ყოველს საათში და წამში იმყოფება თქვენს შორის და, რომ ის წარმოგვიდგენს იმ საღმრთო ცეცხლს, რომელიც ანათებს და ათბობს კაცის არსებობას.

---

# რამდენიმე სიტყვა კერპთ და მცენარეთა თაყვანის-მცემლობის შესახებ.

ვიდრე ძე ღვთისა არ განკაცდა, ვიდრე მაცხოვარმა არ მიუთითა კაცობრიობას სიტყვით და საქმით ჭეშმარიტს ღმერთზე, ვიდრე პავლე მოციქულმა თვისი მჭერ-მეტყველური ქადაგებით საბერძნეთის სალაყბოზედ არ ალაგმა ბრძენნი ელლინთა, ვიდრე წმიდა მამათა და მოციქულთა არ შამოიარეს სახარებით და ჯვარით მთელი ძველი ქვეყანა, თვით საუკეთესოდ განათლებულნი ხალხნი კერპთ თაყვანის-მცემელნი იყვნენ: ელლინებს (ბერძნებს), რომელთაც ძველ ერთა შორის პირველი ადგილი ეჭირათ განათლებით, იმდენი ღმერთი მიაჩნდათ, რამდენიც ვნება და გრძნობა ჰქონდათ, იმდენს ღმერთს ეთაყვანებოდენ, რამდენიც ბუნების მოვლენა იყო. მათი მითოლოგია, ზღაპრები და გადმოცემანი ავსილნი არიან სილამაზის, სიყვარულის, ქორწინების, ღხინისა და ნადიმის ღმერთებით. თვალ წინ უდგასთ ღმერთნი სიმართლისა, შურისა და ომისა, ღმერთნი მშვიდობისა, ხვნა-თესვისა და მოსავლისა, ღმერთნი ანგარებისა, სიმდიდრისა და მჭედლობისა; ღმერთთა შორისა შესამჩნევი ალაგი უჭირავს გარყვნილების ღმერთსაც, რომელსაც ბაბილონსა და კორინთეში ოქროს ტახტი უდგას ვნება გრძნობის სავარჯიშოდ და საბუნთაოდ. ვინ მოვსთვლის, რაოდენი ღმერთი განაგებდა ძველი ქვეყნის ცხოვრებას! ძველი პანტეონი, ეგ უზარ-მაზარი საკერპო ნაწევრობით ვერ იტევდა რომის სამეფო ქვეყნების ღმერთებს.

ეგ იყო ძველს განათლებულს ქვეყნებში და ძველს დროში. აქ კაცურ თვისებას, კაცის გონებას და განყენებულ აზრებს აღმერთებდენ მაინც. ახლად აღმოჩენილს ქვეყნებში კი, ამერიკაში და სხვა კუნძულებზედ მეტად მხეცური კერპობა იყო და არის დღესაც. როცა აქ ქრისტიანობის ქადაგება დაიწყეს ევროპიელთ მისსიონერებმა, არც ერთ მოზრდილთა და წვრილმან ხალხებს ჭეშმარიტს ღმერთზედ წარმოდგენა არა ჰქონდათ, როგორც მოწმობენ მქადაგებელნი, მოძღვარნი ქრისტეს სარწმუნოებისა. ზოგი ეთაყვანებოდენ მზეს, ზოგი მთვარეს, ზოგი ვარსკლავს, ზოგს ღრუბელი მიაჩნია ღმერთად, ზოგს ელვა-ქუხილი, ზოგს მუხა და მიწის ძირა. მცენარის თაყვანისცემა ველურ ხალხთა შორის ისეა გავრცელებული, როგორც ქრისტიანეთა შორის სული წმიდისა და მაცხოვრისა. მცენარის შესახებ, რომელსაც სპენსერი თვის თხზულებაში სომას ეძახის, ისეთი ლოცვაა გამოგონილი ცრუ მორწმუნეთა მიერ, როგორიც ჩვენი სული წმიდის ლოცვა—«მეუფეო ზეცათაო». ამ მცენარეს თრობის ძალა აქვს, ვინც მას საჭმელ-სალექად, ანუ სასმელად ხმარობს, იგი ისეთ მდგომარეობაში მოვა, ისე გაბრუვდება ხოლმე, რომ ყოველი დღიური ვარამი დაავიწყდება, ამ დროს თავის თავი რაღაც განუსაზღვრელს, აღუწერელს და წარმოუდგენელს ოცნება-ბედნიერებაში ჰგონია და კიდევაც იმიტომ შეუდგენია ლოცვა, რომელშიაც ასეთი სავედრებელი ჰაზრებია გამოთქმული: სომავ, მოვედ ჩვენ შორის და გაგვწმინდე ყოველისაგან ბიწისა, რათა ღვთისმოფერ ... ალგვაფრთოვანო და ბედნიერ გვყო,

კერპობა, მოგეხსენებათ, უკუნურების დროის შედეგია, გონების სიბნელის ნიშანი. აბა ახლანდელს დროში, როცა ყველა ქრისტიანს ვეძახით ჩვენს თავს, როცა ყოველს წირვა ლოცვაზე სახარება-სამოციქულოს სიტყვები გვესმის მაინც, თუარ ვასრულებთ, როცა ასში ორი და სამი მოიძებნება რიგიანი მოძღვარი ქრისტიანობისა და მჭერ-მეტყველი მქადაგებელი სახარებისა, დიალ ახლანდელს დროში თავშიაც არ მოგვივა, ვერც კი წარმოვიდგენთ, რომ რომელიმე გაბარბაცებულ ცაცხვს, ანუ ტოტებ გაშლილ მუხას, ტან შეყრილს ჭადარს თაყვანი ვცეთ და ბროწეულის წინ მუხლი მოვიდრიკოთ, შესაწირი რამ მივართოთ, მის მოწყალებას დავვენდოთ და მისი გარისხების გვეშინოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იყო დრო, ვიდრე წმიდა ნინო კოლხიდის კიდეს ნავით არ მოფრინდა, რომელზედაც აი რა მშვენიერს სურათს გვიხატავს ღვთივ განბრძნობილი პოეტი, ვახტანგ ორბელიანი:

ნავით გადმოხდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება;
არის ასული, მაგრამ არის სიზმართ ზმანება
ნათელი, ტურფა, ვით ოცნება მშვენიერია,
მაგრამ ნათელს პირს სოფლის შვება არ უწერია.
მაღალს შუბლზე აქვს აღბეჭდილი მას მადლი ღვთისა,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს ნათელი ცისა,
გულის სიკეთე და სიმშვიდე, ჭეშმარიტება.
იმა სოფლისა მოლოდინი და ნეტარება.
მოდის ასული, ხელთ უპყრია ჯვარი ვაზისა,
არ ეშინია შიმშილის, არც უგზო გზისა.
დიაღ წმინდა ნინომ უეცრად დაამხო კერპობა:
სადაც სწირავდენ კაცთა მსხვერპლად, კერპთ და ბომონთ კარს,
იქ ისმა მაღლა გალობის ხმა: „წმიდა წმიდა არს“.

აი ამ ბედნიერს დრომდე ჩვენი წინა-პარნიც კერპთ თაყვანის მცემელნი იყვნენ; როგორც სხვა ხალხები, ისე ჩვენებიც ბუნების მოვლენათა, მცენარეთა და ცხოველთა აღმერთებდენ. იქ, სადაც დღეს საუკეთესო ტაძრები: მცხეთისა და ალავერდისა, უხიმერიონისა და ზედაზენისა, მარტვილისა და პიჭვინდისა სდგანან, აი, აქ უთუოდ ძველი საკერპოები იდგნენ, ძველი კერპები იყო აღმართული, სადაც, ვინ იცის, რა ნაირი და რა გვარი მსხვერპლი მიჰქონდათ ჩვენ მამა-პაპებს. ყოველს გვარს კერპთ თაყვანის-მცემლობას დაუტოვებია კვალი ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ამ წერილში მკითხველების ყურადღების მისაქცევია მცენარეთა თაყვანის-ცემა. რამდენი ზღაპარია, რომელშიაც მცენარე ღმერთის როლს თამაშობს, რამდენს ქრისტიანულს დღესასწაულსა და ჩვეულებაში გამოსჭვირს ხოლმე ეს კერპობის ნაშთი. ვის არ გაუგონია ერთი ზღაპარი, რომლის გმირიც მეფის წული უარს ჰყოფს ყოველს ადამიანისაგან შობილს ქალს: მას უნდა ლელწმისაგან დაბადებული მზეთ-უნახავი. მთელი დედა-მიწის ზურგი შემოიარა; განვლო ზღვანი და ხმელნი, მთანი და ტყენი: ძლივს მიაღწია ერთს მოხუცს დედა-კაცთან, რომელიც დიდი გულთმისანია, დიდი სასწაულთ მომქმედია; მან იცის ერთი შესანიშნავი ლელწამი, რომელშიაც შელოცვით მზეთ უნახავს გამოიყვანს ხოლმე. აი მეფის შვილი მიდის მოხუცთან, დაიყოლიებს დიდის ვედრებით. იგი მეფის შვილს ლერწმის მოსაგლეჯად აგზავნის. მეფის შვილი მხურვალე ლოცვით ევედრება ცას, იჩოქებს ლელწმის ბუჩქთან, ბოლოს სამ ლელწამთაგან ერთსა სთხრის და მოტაცებული მოაქვს, მაგრამ ვაი ასეთს მოთხრას! უკან მოსდევს ტყე და ველი, ქვა და კლდე, მიწა და წყალი. ყოველს ხიფათს გადარჩება, დედაბერთან მოაქვს მისი მზეთ-უნახავის მშობელი, იგი რაღაც კუდიანური შელოცვით ლელწმიდამ მზის მოკამათე და მთვარის დამაბნელებელს მზეთ-უნახავს გამოასხამს ხოლმე და მოყვარულს მეფის-წულს ჩააბარებს; მას სასახლეში მიჰყავს. ლელწმის ნაშობი სატახტო ქალაქს ამშვენებს. ამ ზღაპრიდამ სჩანს, თითქო ლელწამი მშვენიერთ სქესთა მშობლად ყოფილიყოს აღიარებული უხსოვარს დროში. ქალის სანუკარი ლელწამ ტანოვანობაც ამის წარმოშობილი იყოს ეგება. რასა თქმა უნდა, რომ სხვა მცენარეები შესაძლებელია არა ნაკლებად პატივცემული იქნებოდენ. ასეხვს შეიძლება მაცხოვრის ალაგი ეჭირა და ურთხელასა და ნაძვს—მოციქულობის.

ვის არ გაეგონება, რომ სამეგრელოში არქიეპისკოპოსებს და მღვდელ-მთავრებს ჭყონდიდლებს ეძახოდნენ. საიდამ წარმოდგა ეს სახელი? საიდამ და კერპობიდამ და—წარმოდგა ამ ნაირად: ჭყონი, ბატონო, მეგრულად მუხასა ჰქვია. „დიდი“ ხომ მეგრულადაც და ქართულადაც ერთსა და იმავე ზედ შესრულს სახელსა ნიშნავს—„დიდს“. აქედამ ჭყონდიდი გახლავთ დიდი მუხა. ეს სახელი გადაედვა მთავარ ეპისკოპოსებს ამ გვარად: როცა უხსოვარი დროის ადგილობრივი მცხოვრები მცენარის გამაღმერთებელი და მოთაყვანე იყო, მუხას მცენარე—ღმერთთა შორის პირველი ადგილი ეჭირა. რასა თქმა უნდა, რომ მას თვისი მოციქული ეყოლებოდა და თვისი მღვდელი... შორს დგა ფეხი ქრისტიანობამ, მოვიდნენ ჭეშმარიტნი მქადაგებელნი, დაიწყეს ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება, ჰქმნეს სასწაულები. ამის გამო ხალხს ეჭვი შეუვიდა მუხის ღმერთობაზე. მქადაგებელნიც ამასა ცდილობდნენ, მივიდნენ და მუხა მოსჭრეს. წაიქცა იგი და თან ცრუ-მორწმუნეობას საძირკველი დაენგრა. ნაცვლად იმისა, ჯერ ალბად პატარა საჯვარე აშენდებოდა მუხის მაგიერ და მერმე რამდენიმე ასი წლის შემდეგ სენაკნი და ბოლოს ის დიდებული ტაძარი, რომელსაც მარტვილს ეძახიან. აქ მყოფს მღვდელ-მთავარს დაერქვა ჭყონდიდელი და მთელს უბანს, რომელიც მონასტერს ეკუთვნოდა, ვიდრე ხაზინამ არ შეისყიდა და რომელიც ახლა აბაშის სტანციის მიდამოზედა გაშენებული, დაერქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭყონდიდლო. მეგრელები ეპისკოპოზს ახლაც „ჭყონდიდარს“ ეძახიან.

ხის თაყვანის-ცემის კვალი ჩვენ ცხადად შევამჩნიეთ სოფელს ბანძას, ახალ-კვირის დღესასწაულზე. წარმოიდგინეთ, ბატონებო, ვაკე მინდორი, რომლის შუა ალაგს პატარა ეკკლესია სდგას. ამის გალავანში მრავალი სხვა-და-სხვა უზარ-მაზარი ხეებია, ყოველი ხის ძირში ცხენები ჩამოუბამთ. აგერ ცეკვა, აგერ სიმღერა, იქით ბურთი. ბურთაობს თავადი და აზნაური, ვაჭარი და მოხუცი. ერთი მოტრიალდი და შენ თვალწინ გაირბინა ცრიწით „დამა-კავალერებმა“. „დამას“ სათვალე ჩამოუპოწიალებია, კავალერი იმის თასმასავით იგრიხება მერანზე. ერთი მეორეს თვალში ჩასცქერის, აბა რომელი რომელსა სჯობნიან გარეგანი პრანჭვა გრეხიაობით, შინაგანზე ნურას იკითხავ, რადგან მას სულის და გულის საკვებავი არაფერი არა აქვს. რატომ არა აქვს, ამაზე ნურას ვიტყვით, რადგანაც ამის მიზეზი „დამა-კავალერისაც“ კარგათ მოეხსენება, მაგრამ აბა რა ჰქმნან, თავს ზევით ძალა არა აქვს კაცსო, ნათქვამია. ქალი თუ ვერას წაიკითხავს, ვერას გაიგონებს, არასფერს მოელი, გარდა კუჭის გამძღომის ზრუნვისა, მტერი მტრად არა ჰყავს აღიარებული, მოყვარე-მოყვრად, გაზეთს ვერ წაიკითხავს, ჟურნალს თვალით ვერ ნახავს, მისი შვილი რასა სწავლობს, არა გაეგება; რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი სულის მდგომარეობა გამოახმობს გულს და გამოაფუყებს გონებას. მაშინ გარეგნობაზე და გრეხა-პრანჭიაობაზე იქნება მიქცეული ყურადღება.

უკაცრავად მკითხველთან, რომ საგანს ავსცდით, მაგრამ ახალ-კვირის დღეობასთან იმოდენა რამეებმა გაიარა ჩვენს თვალ წინ, რომ ძლივს თავს ვახწევთ ამ მოკლე შენიშნვით. გათავდა ბურთი და ჯირითიც. ზარმა ნელი ხმა გამოუშვა. შემოსილ მღვდელს მარცხენა ხელში ჯვარი უპყრია და მარჯვენით ალმა აკმევს. მას კრებული მოჰყვება, უკან მრევლთაგან თავად-აზნაურნი და გლეხნი, წინ მეზურნე მოდის და საყვირით აქა-იქით მიემართება ხოლმე, სიო ამოვარდა, ფოთლები შეიძრა, თითქო შიშის ზარი ეცემათ, ვაი თუ ამ საღამოს გამოვეთხოვოთ ქვეყანას და მომავალი გაზაფხული ჩემთვის ჯოჯოხეთად გადიქცესო. მიადირეს ბუკი ერთს ხეს, მიადირეს მეორეს, მესამეს და ბოლოს ნიშანში ამოიღეს ერთი ახალგაზრდა ხე. შეჰკვირა ბუკმა და ხე ვაჟკაცთა და ახალგაზრდათ შეჰვარეს. ყოველ მხარზე ორ-ორი, სამ-სამი კაცი ჰკიდია, ხან აქეთ გადააქანებენ, ხან იქით, ერთ საათს მარჯვნივ და მარცხნივ აქანეს. ხე დაუძლურდა, ძირები შეუსუსტდა და ერთს მხარეზე წამოწვა. იგი შამოატრიალეს რამდენჯერმე და ნიყვივით ამოიღეს, ბეჭზე გაიდვეს, დიდი ცერემონიით საყდარს გარს შემოატარეს და «უბადი კოჩები» დასწყევლეს. დაიწყეს მშვენივრად სახალხო სიმღერა კირიალესონისა ასე: ლეისონ... კირია, ლეისონ და კირია, ლეისონ და კირია. ცხადია, რომ ეგ ხის მოთხრა იმ დროის მოწამეა, როცა პირველად ქრისტეს სწავლის ქადაგთა შეეხნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ღმერთს და მოჰკვეთეს, კრიალესონის გალობით, რაღა შორს მივდივართ: სამი თვის წინედ ყოვლად სამღვდელომ, იმერეთის ეპისკოპოსმა დიდი გაჭირვებით მოაცილა კულაშის ახლო მცხოვრებთ გაღმერთებული მუხა. ეს გარემოება აღწერილი იყო «მწყემსი»-ს ნომერშიაც. სხვა ამ გვარს ჩვეულებებზე შემდეგში გვექნება საუბარი.

სამ. ყიფიანი.

# ცხოვრების აღწერა

## წმიდა მოციქულთ-სწორისა ნინოსი,

საქართველოს განმანათლებელისა.

(გაგრძელება *).

მეფე მირიანისაგან გაგზავნილნი მოციქულნი მეფე კოსტანტინემ მიიღო დიდის პატივით და სიხარულით და უკან დაბრუნების დროს ისინი დიდის საჩუქრებით გამოისტუმრა მან. ამ გაგზავნილ მოციქულებთან ერთად მოვიდა საქართველოში კოსტანტინესაგან გამოგზავნილი ანტიოქიის ეპისკოპოზი ესტატე ორი მღვდელით და სამი მთავარ-დიაკვნით, რომელთაც მოიტანეს თან ეკკლესიის სამკაულნი. მეფე მირიანმა მაშინვე უბრძანა ერისთავთ, სპასალართ და სამეფოის ყველა წარჩინებულ პირთ, რათა ისინი შეკრებილიყვნენ მცხეთაში. როცა ყველანი შეიკრიბნენ, მირიანმა

*) იხ. „მწყემსი“ № 9, 1887 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ წინაშე თავ-და-პირველად ნათელ იღო; მირიანის შემდეგ მიიღო ნათლის ღება დედოფალმა თავისი შვილებით. მცხეთის ხიდის მახლობლად მტკვარზე, სადაც უწინ იყო სახლი ებრაელის ელიოზისა და შემდგომ სამსხვერპლო ქურუმთა, მომზადებულ იქმნა სანათლავი. აქ ეპისკოპოზმა ნათელი სცა წარჩინებულთა პირთა, რაისა გამო ამ ადგილს ეწოდა მთავართა სანათლავი. მთავართ-სანათლავის ქვემოდ, მდინარის ნაპირსვე ორმა მღვდელმა ნათელი სცა ხალხს, რომელიც დიდის მოწიწებით და სიხარულით იღებდა ნათლის-ღებას. შემდეგ მღვდლებმა დაიწყეს ახლო-მახლო ქალაქებში და სოფლებში სიარული და ნათელსა სცემდენ ხალხს. ამ გვარად ნათელ-იღო ყოველმა ერმა ივერიისამ, გარდა კავკასიელთ მთიულებისა, რომლებიც ამის შემდეგ კიდევ დიდ ხანს დარჩნენ კერპთ თაყვანისმცემლობაში. არ მიიღეს ნათლის-ღება ებრაელთა, რომელნიც სცხოვრობდნენ მცხეთაში, გარდა მათი მღვდელ-მთავრის აბიათარისა. ამ უკანასკნელი მოინათლა მთელი თავის სახლობით. აბიათართან ერთად მიიღეს ნათლის-ღება ებრაელთა 50 სახლობამ. ამ მონათლულ ებრაელებს მეფემ უბოძა დაბა, რომელსაც სახელად ეწოდებოდა ციხე-დიდი.

ღვთის შეეწეობით სახარების სიტყვა მალე დამკვიდრდა საქართველოში. ამ საქმის შესახებ ბევრი იღვაწეს ეპისკოპოზმა ესტატემ და წმ. ნინომ. ესტატემ დაუდგინა ღვთის მსახურების წესი საქართველოს ახალს ეკკლესიას ბერძნულს ენაზე, აკურთხა მცხეთაში ახლად აღშენებული ტაძარი ათორმეტთა მოციქულთა სახელზე და შემდეგ გაემგზავრა ანტიოხიაში. ივერიის ეკკლესიის ეპისკოპოზად ესტატემ ხელი დაასხა მღვდელს იოანნეს, რომელიც დამოკიდებული იყო ანტიოხიის ეპისკოპოზისაგან.

რამდენიმე წლის შემდეგ კეთილ-მსახურმა მირიანმა გაგზავნა კონსტანტინესთან რამდენიმე პირნი სათხოვნელად, რომ მას გამოეგზავნა კიდევ საქართველოში მღვდლები, რათა მათ ნათელ ეცათ მისი სამეფოის ყველა ქვეშევრდომთათვის. მირიანი სთხოვდა კონსტანტინეს ეკკლესიების მშენებლების გამოგზავნასაც საქართველოში. კონსტანტინემ დიდის სიხარულით შეასრულა მირიანის თხოვნა. მან დიდ-ძალ ოქროს და ვერცხლთან გამოუგზავნა მირიანს ნაწილი ძელი ცხოველისა, რომელიც ამ დროს მოპოვებულ იყო მისი დედის წმ. ელენესაგან, გამოუგზავნა ერთი იმ ლურსმებთაგან, რომლებითაც მიჭედილნი იყვნენ ჯვარზე ხელნი მაცხოვრისა; გარდა ამაებისა გაგზავნილმა პირებმა მოიტანეს საქართველოში: ჯვრები, ხატები ქრისტე მაცხოვრისა და ყოვლად წმიდის ქალწულის მარიამისა და ნაწილნი წმიდათა მოწამეთა. ამ დროსვე მირიანის ძე და მემკვიდრე ბაქარი, რომელიც მძევლად იყო რომში, განთავისუფლებულ იქმნა და დაბრუნებულ მამასთან.

მირიანისაგან გაგზავნილმა კაცებმა და მათგან წამოყვანილმა მღვდლებმა და ეკკლესიის მშენებლებმა, როცა ივერიაში დაბრუნდენ, სოფელს ერუშეთს, რომელიც მდებარეობდა ქართლის საზღვარზე (დღეს ეს ადგილი შედის ახალ-ციხის მაზრაში) ააშენეს პირველი ტაძარი და ამ ტაძარში დასტოვეს ლურსმანი ქრისტეს ჯვრისა. *) მეორე ტაძარი ააშენეს მათ სოფელს მანგლისში, რომელიც თბილისიდამ თოთხმეტ ვერსზეა და აქ დასტოვეს ნაწილი ძელი ცხოველისა. მცხეთაში მირიანის სურვილისა და წმ. ნინოს ჩვენებისა მებრ თვით მეფის ბაღში აღშენებულ იქმნა ქვის ტაძარი. წმ. ნინო ველარ მოესწრო ამ მშვენიერი ტაძრის დასრულებას. წმ. ნინოს დიდ პატივსა სცემდა მეფე და მთელი ერი, ხოლო წმიდანს კი სურდა, რომ მეფეს და ხალხს უმეტესად ეკიდებიათ ქრისტეს სახელი და ამიტომ ნინო მცხეთიდგან წავიდა არაგვის მაღალ კლდეებზე და აქ ლოცვით და მარხულობით ემზადებოდა, რომ შემდეგ საქართველოს სხვა ადგილებშიაც მოეფინა ქრისტეს სწავლა-მოძღვრება.

მეფე მირიანმა მოინდომა მახვილით მოქცევა მთიულთა, მაგრამ წმ. ნინომ არ მისცა ნება მეფეს, რომ მას ამ საქმეში მოეხმარა მახვილი. ამ მთიულების მოსაქცევად წავიდა თვით წმ. ნინო და თან წაიყვანა მღვდელი იაკობი და ერთი მთავარ-დიაკონი. ჯერეთ გასწია მცხეთიდამ ჩრდილოეთით და არაგვის და იორის ხეობეებში მოეფინა ქრისტეს სწავლა. ჟალეთის, ერცოს, თიონეთის და სხვა ადგილებში მცხოვრებმა მთიულებმა სიხარულით მიიღეს ნინოს ქადაგება, დაანგრიეს თავის საკერპოები და მიიღეს წმ. ნათლის-ღება მღვდლის იაკობისაგან. აქედგან წმ. ნინო გაემგზავრა კოკაბეთში და მთელი მცხოვრებნი გააქრისტიანა, მერე წავიდა კახეთისკენ, მივიდა ს. ბოდბეში და აქ დაბინავდა. მასთან იკრიბებოდა დიდ

*) ეს ლურსმანი მეცამეტე საუკუნის ნახევარში მეფე დავით მეცხრემ, რუსუდანის შვილმა, ჩასვა ეპისკოპოზის მიტრის გვირგვინში. 1781 წელში ეს ლურსმანი წაღებულ იქმნა მოსკოვში და ინახება დღესაც მიძინების ტაძარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალი ხალხი და ისმენდა მის ქადაგებას ქრისტეზე. ამავე სოფელში ამ დროს სცხოვრებდა კახეთის დედოფალი სოფიო. ერთხელ დედოფალი სოფიო მოვიდა წმ. ნინოსთან, რათა მოესმინა მისი ქადაგება. დედოფალზე ისეთ ნაირად იმოქმედა წმ. ნინოს ქადაგებამ, რომ მას აღარ უნდოდა უკან მოუნათლავი დაბრუნებულიყო და ამიტომ იქვე მოიხმო მთელი თავის ერისთავნი და მათთან ერთად ნათელს იღო მღვდლის იაკობისაგან.

როცა კახეთში წმ. ნინომ შეასრულა თავის მოციქულებრივი მოღვაწეობა, ღვთის განგებით ეუწყა მას თავის სიკვდილის მოახლოვება. ეს ამბავი წმიდა ნინამ მაშინვე მისწერა მეფე მირიანს. წმ. ნინა სწერდა მეფეს: „მოახლოვებულ არს ჩემდამი სიკვდილი, მე უნდა დაუტევო ეს ქვეყანა. გთხოვ, მეფევ, რომ გამომიგზავნო ეპისკოპოზი იოანნე, რათა მან მომამზადოს მე სიკვდილისათვის. ეს წერილი მიუტანა მეფეს თვით დედოფალმა სოფიომ. როგორც წაიკითხა ეს წერილი მეფემ, მთელი თავის სახლეულობით, ეპისკოპოზით და კრებულით გაემგზავრა ნინასთან, რომელსაც კიდევ ცოცხალს მიუსწრო. მრავალი ხალხი იდგა ამ დროს მომაკვდავ ნინას გარეშე და გლოვობდა წმიდანის სიკვდილს. წმ. ნინამ თავის სიკვდილის წინ გადასცა თავის მოწაფეებს ზოგიერთი ცნობა თავის ვინაობაზე. ამ ცნობის წყალობით შესდგა შემდეგ წმიდა ნინას ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერა. წმ. ნინამ მიიღო ზიარება ეპისკოპოზის იოანესაგან და განუტევა სული. სიკვდილის წინ მეფეს სთხოვა, რომ დაესაფლავებინათ ის მის ღარიბ კარავში. წმ. ნინა გარდაიცვალა 338 წელში ქრისტეს შემდეგ. მეფემ, ხალხმა და სასულიერო წოდებამ იმგლოვეს წმ. ნინა და უნდოდათ მისი სხეული წაეღოთ და დაესაფლავებინათ მცხეთის ტაძარში, მაგრამ მისი ძლიერით შემოსილი გვამი ვერას გზით ვერ დასძრეს ადგილიდგან, ამიტომ დაასაფლავეს სოფელ ბოდბეში. 342 წელში წმ. ნინას სასაფლაოზე მეფე მირიანმა დაიწყო ეკკლესიის შენება, რომელიც დაასრულა მისმა შვილმა ბაქარმა წმ. მთავარ მოწამის გიორგის სახელობაზე. ეს ტაძარი ზევრჯელ შეკეთებულ იქმნა, მაგრამ დამგვრევით კი არას დროს არ დაუმგვრევიათ. ამ ტაძართან დაარსებულ იქმნა ძველიდგანვე ბოდბის სამიტროპოლიტო, საიდგანაც იფინებოდა ქრისტეს სწავლა.

ივერიის ეკკლესიამ ანტიოქიის ეკკლესიის ნებართვით წმიდა ნინას უწოდა მოციქულთ სწორი და საქართველოს განმანათლებელი და შერაცხა ის წმიდანების რიცხვში და მის მოსახსენებლად დააწესა ყოველ წლობით დღესასწაული 14 იანვარს. ნამდვილად არავინ იცის, თუ რომელ წელში იქმნა დაწესებული ეს დღესასწაული, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდებოდა წმ. ნინას გარდაცვალების შემდეგ ახლო ხანებში, რადგან ივერიაში მალე დაიწყეს ეკკლესიების შენება წმ. მოციქულთ სწორის ნინას სახელობაზე. ეხლაც კიდევ არის პატარა ქვითკირის ეკკლესია აღშენებული ნინას სახელობაზე მეფის ვახტანგ გორგასლანისაგან მცხეთის პირ-და-პირ, იმ მთაზე, რომელზედაც წმ. ნინამ შემუსრა კერპი არმაზისა.

## თბილისი, ქალაქის გამგეობისაგან.

28 მაისს 1886 წელსა უმაღლესად ნაბრძანებია, რომ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში შემოღებულ იქმნას სამხედრო ბეგარა. ამასთანავე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და შემდეგი შეღავათი მიანიჭა აქაურს ერსა:

1) ახლად გამოყვანილ ჯარის-კაცებისაგან, სამხედრო სამინისტროს სურვილისამებრ, ცალკე ჯარები იქმნება შემდგარი და ეს ჯარები აქვე, კავკასიაში, იქმნებიან დაყენებულნი.

2) იმათთვის, ვისაც ჯარში გამოსვლა წილად ერგება, ჯარში სამსახურის ვადა სამის წლით იქნება, ჯერ ვიდრე ახალი რამ განკარგულება არ მოხდება,—და სამის წლის შემდეგ შინ დაბრუნდება და მხოლოდ შანად-მყოფს (ЗАПАСНЫЙ) ჯარებში იქმნება ჩათვლილი თორმეტის წლის ვადით.

3) ჯარში გამოყვანილი კაცი სოფლებიდგან თუ ქალაქებიდგან,—იმათ გარდა, რომელნიც თავის ნებით წავლენ ჯარში,—აგრეთვე სახლობა თუ კომლი, საიდგანაც ჯარის კაცი იქნება გამოყვანილი, განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველ გვარ სახელმწიფო, საერო და საზოგადო ფულის გადასახადისაგან. გარდა ამისა, თვით ჯარში გასულნი კაცნი, ვიდრე სამსახურში იქნებიან, არავითარს ბეგარას არ გადაიხდიან.

ჯარის მოსაკრებად ამ 1887 წელსა ტფილისში ქალაქის გამგეობისაგან შედგენილი იქნება სიები და ამ სიაში ჩაწერილი იქნება ყველა, ვინც 1886 წლის ოცის წლისა შესრულებულა. ეს სიები 1-აპრილიდგან 15-მდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკიდული იქნება ქალაქის გამგეობის სადგურში და ყველას ნება ეძლევა გამოაცხადოს, თუ სიებში რაიმე შეცდომა ან ნაკლი შეჰნიშნა. ყველა ამისთანა განცხადება ნაწერილ იქნება ცალკე წიგნში, გაჰსინჯავენ შვიდის დღის განმავლობაში, შეამოწმებენ საბუთის ქაღალდებს, გამოიკითხავენ საქმესა და, თუ მართლა აღმოჩნდა შეცდომა, გაასწორებენ.

გარდა ამისა, ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვინც სრულ-წლოვანი გამხდარა ჯარში გამოსაყვანად, სიებში არ იქნება ჩაწერილი და წილის ყრის დროს არ გამოაცხადებს ამასა, მაშინ წილ უყრელად იქნება ჩარიცხული, თუ სამსახურისთვის გამოდგება.

სამხედრო ბეგარის წესდებულებაში სამ რიგი შეღავათია დადგენილი:

პირველი რიგი: ა) თუ სახლში ერთად ერთი მუშა შვილია და ან მამა ჰყავს, რომელსაც მუშაობა აღარ შეუძლიან, ან ქვრივი-დედა; ბ) თუ ერთად ერთი ძმაა, რომელსაც შესანახავი ჰყავს ობლები, დები თუ ძმები; გ) თუ სახლში ერთად ერთი შვილის-შვილია, პაპა და დიდი-დედა, რომელთაც მუშა შვილი არა ჰყავთ; დ) თუ სახლობაში ერთად ერთი შვილია, თუნდ მამაცა ჰყავანდეს, რომელსაც მუშაობა შეუძლიან და ე) უკანონო შვილები, თუ ამათ შესანახი ჰყავთ: დედა, რომელსაც სხვა მუშა შვილები არა ჰყავს, ან და, ან ძმა, რომელსაც მუშაობა არ შეუძლიან. ამიერ-კავკასიის მკვიდრ მცხოვრებთა, გარდა რუსებისა, პირველის რიგის შეღავათი ეძლევათ კიდევ: ა) სიძეს, თუ სიმამრთან, რომელსაც მუშაობა არ შეუძლიან, ან ქვრივ სიდედრთან, ერთად ცხოვრობს და ბ) მარტო ხელს კაცსა.

მეორე რიგი: თუ სახლში ერთად-ერთი მუშა შვილია და მუშა მამაცა ჰყავს, მაგრამ ამასთან ერთი ან რამდენიმე ძმაცა ჰყავს, რომელთაც მუშაობა არ შეუძლიანთ.

მესამე რიგი: იმის მომდევარი ძმა, რომელიც უკვე ჯარში ითვლება, ან ჯარში სამსახურის დროს გარდაცვლილა, ან ომის დროს დაკარგულა და იმის ამბავი ველარ შეუტყიათ.

ის, ვისაც ზემო-ხსენებული საბუთი აქვს შეღავათისა, ჯარში წაიყვანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ვინიცობა ჯარების შესავსებლად არ ჰყოფნის ის რიცხვი, რომელიც წილს იყრის. ისინი, ვისაც პირველ რიგის შეღავათი ეძლევათ, ჯარის კაცად მაშინ იქნებიან გამოყვანილნი, როდესაც, სამხედრო სამინისტროს მოთხოვნილებით, ცალკე განკარგულება მოხდება სახელმწიფო რჩევისა და უმაღლესად დამტკიცებული იქნება.

ჯარების მოწვევის სიების გასინჯვის დროს, ყურადღება უნდა იყოს მიქცეული შემდეგზე:

ა) ყველა ოჯახის წევრი, ვინც ცოცხალია, ჩაწერილია სიაში თუ არა; ბ) სწორედ არის ნაჩვენები იმათი წლოვანობა, თუ არა; გ) სიებში ხომ არ არიან მოქცეულნი ან მკვდრები, ან ისინი, ვინც ოჯახს არ ეკუთვნიან; დ) ნაჩვენებია თუ არა სიებში, ვის არ შეუძლია მუშაობა, ავად-მყოფობისა და დაშავების გამო; ე) სასამართლოსაგან დასჯილნი და სადმე გაგზავნილნი; ვ) ვინც სამს წელიწადზე მეტს ხანს სადმე გადაკარგულნი არიან; ზ) ჯარის-კაცად ხომ არ არიან კიდეც გასულნი.

ვინც ჯარში არ წასვლისათვის ან იმის გამო, რომ ჯარში ყოფნის დროს დაიჩემოს შეღავათი, რომელიც მას არ ეკუთვნის, და ყოველ ამისათვის რაიმე ტყუილებს ჩაიდენს, ან მოატყუებს მთავრობას, ის კანონით დასჯილი იქნება და სამიდგან ოთხს თვემდე ციხეში დაიმწყვდევა.

უმაღლესს და შუა სასწავლებლის მოსწავლეთ, თუ წილში ჯარში წასვლა ერგოთ, დრო ეძლევათ, ვიდრე სწავლას გაათავებენ. ყველა მოსწავლეთ ნება აქვთ 15 აგვისტომდე 1887 წლისა გამოაცხადონ, რომ სურვილი გვაქვს ნება-ყოფლობით წავიდეთ ჯარშიო. ვინც ამას გამოაცხადებს, ის წილის ყრაში აღარ მოჰყვება და კანონით დაწესებული კიდეც მიეცემა სწავლის შესასრულებლადა. („ივერია“).

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ოთხი პატარა წიგნი, გამოცემული ჩვენი მუყიათი მშრომელის ზაქ. ჭიჭინაძისაგან. 1) ლექანი თქმულნი, მეფე თეიმურაზ პირველისაგან. ფასი ექვსი შაური. 2) ლოთი კაცის სიკვდილი, თარგმნილი ივ. ხოტეველისაგან. ფასი 5 კ. 3) თჳთ განვითარება, თარგმანი ივანე როსტომაშვილისა. ფასი 1 აბაზი. 4) ინსტინკტი (ალღო) ჩარვინის თეორიის შეხედულებით, თარგმნილი რუსულიდგან რომანოზ ფანცხავასაგან. ფასი 15 კაპ. ყველა ეს ზემო აღნიშნული წიგნები სუფთად არიან გამოცემულნი, ფასიც ზომიერია და ჩვენი ხალხისათვის ძლიერ სასარგებლო.

* * *

ამ უკანასკნელს დროს კავკასიაში მცხოვრებ მალაკნებმა იწყეს მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მიღება. როგორც ატყობინებენ გაზეთ „კავკაზს," რამოდენიმე ამისთანა შემთხვევები უკვე ყოფილა ამ ცოტა ხანში ბაქოს გუბერნიაში, სადაც ზოგიერთ მალაკნებს მთელი ოჯახობით მიუღიათ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება.

* * *

ამას წინეთ მთავრობისაგან განკარგულება იყო, რომლის ძალით კავკასიის რკინისგზის მმართველობაში მოსამსახურე ებრაელნი უნდა დაეთხოვნათ სამსახურისაგან. ამ განკარგულებას, როგორც გვატყობინებს „ნოვ. ობოზრ.", რკინის გზაზე მოსამსახურე ებრაელნი ძალიან დაუფიქრებია. მთავრობის ამ გვარ განკარგულებას ბევრი რკინის გზაზე მოსამსახურე ებრაელნი იძულებულ-უყვია, ამ გაზეთის სიტყვით, რომ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება მიეღოთ და ამ მოკლე ხანში ბევრს კიდეც მიუღიათ ნათლის ღება. ერთი ებრაელი, რომელიც რკინის გზაზე ემსახურებოდა თურმე და კაი ჯამაგირსაც იღებდა, მთელი თავის სახლობით, რომელიც 5-6 სულიდგან შესდგებოდა, მონათლულა. რასაკვირველია, რომ მოინათლებოდა! ოღონდ მათ თბილს ადგილებს ნუ მოაცილებთ და მზად არიან მიიღონ ყოველ გვარი სარწმუნოება, თუნდ კერპთ-თაყვანის-მცემლობაც.

* * *

მაისის დამლევს, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, უნდა გამოიგზავნოს საკუთარი კომმისია, შემდგარი გზების ინჟენერებისაგან, კავკასიის რკინის გზების დასახედავად საზოგადოდ და ტფილის-ბათუმის რკინის გზისა განსაკუთრებით. ეს კომმისია, იმედია, დახედავს რკინის გზებს და შეიძლება ამ რკინის გზების მშვენიერი მდგომარეობაც აღიარებულ იქმნეს მისგან, მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ამ გზებზე მოგზაურობა შემდეგშიაც ისე იკოჭლებს, როგორც დღესაც კოჭლობს.

## მამაო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთში არა ერთხელ ყოფილა ახსნა კითხვებისა მღვდლების თანამდებობის აღსრულების შესახებ. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გვაცნობოთ შემდეგი:

1. ეკკლესიის ფულიდგან ბლაღოჩინები იღებენ თავიანთ სასარგებლოდ წმ. სანთლის შემოსავლიდგან მანეთზე ორ შაურს. მაგ. ეკკლესიაში არის, ვსთქვათ გაყიდული 20 მანეთის სანთელი. ბლაღოჩინები იღებენ ორ მანეთს, თუმცა 10 მანეთის გასყიდულია სანთელი, და მარტო 10 მანეთი რჩება ეკკლესიას შემოსავლად. მიეცემა თუ არა ამის მსგავსად ბლაღოჩინებს ფული, უკეთუ ეკკლესიაში იყიდება წმ. სანთელი გირვანქობითაც, რადგანაც ამ შემთხვევაში ეკკლესიას არა დარჩება რა შემოსავალი!

2. შეუძლიანთ თუ არა ბლაღოჩინებს, მოითხოვონ საზოგადოდ მღვდლებისაგან, რომელნიც საბლაღოჩინოში არიან, ფული კანცელარიისათვის და საგზაო (на канцелярскіе расходы и разъѣздные)? უკეთუ შეუძლიანთ, რის ძალით? ამაზედ არც სასულიერო კონს. წესდებულებაში, არც ბლაღოჩინთათვის გამოცემულ ინსტრუკციაში არა არის—რა მოხსენებული.

მ. მ. მ. მ.

---

1) თუ ბლაღოჩინი ერთგულად ადევნებს თვალს სანთლის ვაჭრობის საქმეს ეკკლესიებში და ამით ეკკლესიას სარგებლობას აძლევს, რატომ არ უნდა მიეცეს მას ერთ მანეთზედ ორი შაური შრომის ფასად? ეკკლესიაში გირვანქობით თუ გაიყიდება სანთელი, მოგებით გაიყიდება და არა თავნზე. ამ შემთხვევაშიაც ეკლესიას სარგებლობა რჩება და ბლაღოჩინსაც აქედგან შეხვდება მანეთზე ორი შაური.

2) ჩვენს იმპერიაში არ არის ისეთი თანამდებობა, რომლის აღსრულებისათვის სასყიდელი, ჯამაგირი არ იყოს დანიშნული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ზოგიერთი თანამდებობის პირი, ორი-ათასი მანეთის ჯამაგირის მიმღები, იმდენ საქმეს არ ასრულებს, რამდენსაც თვითეული ბლაღოჩინი და რა დააშავეს ბლაღოჩინებმა, რომ არავითარი ჯამაგირი არ აქვსთ დანიშნული მათი შრომისათვის? კანსისტორიის წესდებულებაში ბევრი რამ არა სწერიან, მაგრამ ბევრი წეს-წყობილება არსებობს. კანსისტორიის წესდებულებაში და ბლაღოჩინების ინსტრუკციაში მოხსენებული არ არის სასწავლებლების შესანახავ გადასახადზე, რომელსაც დღეს იხდის სამღვდელოება, მაგრამ წელიწადში დიდ ძალი ფული ხვდება მას სასწავლებლების შესანახავად.

რედაქტორი.

---

შ ი ნ ა ა რ ს ი: ოფიც. ნაწილი: განჩინება უწმიდესი სინოდისა.—არა ოფიც. ნაწილი: სიკვდილი და აღდგომა.—სიტყვა სიმართლეზე.—რამოდენიმე სიტყვა კერპთ და მცენარეთა თაყვანის-მცემლობის შესახებ.—წმ. ნინას ცხოვრების აღწერილობა.—თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მღვდლის საყურადღებოდ.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 12 апрѣля, 1887 г.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.